Environment and Society, N15, June, 2025, pp.1-39

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში: საზოგადოებრივი მოლოდინების შესწავლა ქალაქ გორის მაგალითზე

ავტორები:

დიმიტრი შავლოხაშვილი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი.

ელექტრონული ფოსტა: dimitri.shavlokhashvili442@sps.tsu.edu.ge.

ნინო მაისურაძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი.

ელექტრონული ფოსტა: nino.maisuradze454@sps.tsu.edu.ge.

აბსტრაქტი

საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში რიგით მე-11 საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რაც საკვანძო მოვლენას წარმოადგენს საქართველოსთვის ევროინტეგრაციის გზაზე, რადგანაც 2023 წლის დეკემბერში საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო და ქვეყანა კიდევ უფრო დაახლოვდა იმ მიზანთან, რომელიც კონსტიტუციის 78-ე მუხლით არის გათვალისწინებული. შესაბამისად, პროგრესი ევროპული კურსის მიმართულებით პირდაპირ იყო დამოკიდებული საერთაშორისო შეფასებებსა და გამოხმაურებებზე. ამიტომ არჩევნების თითოეულ ასპექტზე დაკვირვება მნიშვნელოვანია. კვლევა წარმოადგენს სიახლეს, რადგან სამეცნიერო ნაშრომების უმეტესობა, რომელიც არსებულ თემას ეხება მხოლოდ საერთო სახელმწიფოებრივ დონეზეა ნაკვლევი და რეგიონულ კონტექსტს, როგორც წესი ნაკლები

ყურადღება ექცევა. აღნიშნული კვლევის მიზანია, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო საზოგადოებრივი მოლოდინების შესწავლა ქალაქ გორის მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოების მოლოდინების შესწავლა დემოკრატიული დისკურსის და მმართველობის გაძლიერების მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს. სწორედ, რომ წინასაარჩევნო მოლოდინებში აისახება ის ძირითადი საჭიროებები და პრობლემები, რომელიც საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებს გააჩნია. კვლევა განიხილავს არჩევნებამდე საზოგადოების მოლოდინების გაგების მნიშვნელობას და მის გავლენას საარჩევნო პროცესებზე, პარტიული პოლიტიკის ფორმულირებასა და დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებაზე. საზოგადოებრივი მოლოდინების გავლენის გაანალიზებით, მათ შორის, სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი, არსებული პრობლემები, საზოგადოების საჭიროებები, მედია ნარატივები და კანდიდატების დაპირებები, მნიშვნელოვნად განაპირობებს ამომრჩევლის ქცევას საარჩევნო პროცესში. ნაშრომი ხაზს უსვამს მოსალოდნელი სენტიმენტების გადამწყვეტ როლს პოლიტიკური შედეგების ჩამოყალიბებაში და მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობაში. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მოლოდინების გაანალიზება პოლიტიკის შემქმნელებს სთავაზობს ხედვას იმის შესახებ, რომ დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების გასაძლიერებლად მოხდეს მოსახლეობის აზრის გათვალისწინება და საჭიროებებზე მორგება. აღსანიშნავია, რომ კვლევა მეტ-ნაკლებ წარმოდგენას შეგვქმნის რეგიონში არსებული პოლიტიკური კულტურის შესახებ. ვფიქრობ კვლევა ნამდვილად შემოიტანს სიახლეს ქართულ სამეცნიერო სივრცეში. კვლევა იყენებს თვისებრივ მიდგომას და სხვადასხვა მეთოდებთან ერთად გამოყენებული იქნება კვლევის ძირითადი მეთოდი ფოკუს ჯგუფები. ვფიქრობ, პროექტი ერთგვარ რეკომენდაციასაც გასცემს პოლიტიკური პარტიებისთვის, ერთი მხრივ პარტიები ინფორმირებულები იქნებიან საზოგადოებრივი მოლოდინების შესახებ ქალაქ გორის მაგალითზე, მეორე მხრივ კი ეს ხელს შეუწყობს იმ მოლოდინების რეალობად ქცევას და იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც არსებობს საზოგადოების ფართო ფენებში.

საკვანძო სიტყვები : საპარლამენტო არჩევნები, ქალაქი გორი, საზოგადოებრივი მოლოდინები, წინასაარჩევნი პერიოდი, წინასაარჩევნო კამპანია.

Environment and Society, N15, June, 2025, pp.1-39

The Parliamentary Election of 2024 in Georgia: A Study of Public Expectations Based on the Example of the City of Gori

Authors:

Dimitri Shavlokhashvili

Master degree in policy analysis and public policy. Tbilisi State University, Faculty of social and political sciences.

E-mail- dimitri.shavlokhashvili442@sps.tsu.edu.ge.

Nino Maisuradze

Phd in political sciences. Tbilisi State University. Faculty of social and political sciences.

E-mail: nino.maisuradze454@sps.tsu.edu.ge

Abstract

The topic is highly relevant, as on October 26, 2024, Georgia held its 11th parliamentary election, which are a key event in the country's path toward European integration. This is particularly significant following Georgia's receipt of EU candidate status in December 2023, which brought the country even closer to the goal outlined in Article 78 of its Constitution. Therefore, progress in the direction of the European course is directly dependent on international assessments and reactions. Consequently, it is crucial to observe every aspect of the elections. This study is novel because most existing research on the topic

focuses on the broader national level, often neglecting regional contexts. The aim of this research is to examine the pre-election public expectations in the city of Gori as a case study. Notably, studying public expectations during the pre-election period is a fundamental component of strengthening democratic discourse and governance. Pre-election expectations reflect the primary needs and problems that specific groups within society face. This study discusses the importance of understanding public expectations before the elections and their impact on the electoral process, the formulation of party policies, and democratic accountability. By analyzing the influence of public expectations, including the social-political context, existing issues, societal needs, media narratives, and candidates' promises, this research identifies factors that significantly shape voters' behavior in the electoral process. The paper emphasizes the decisive role of anticipated sentiments in shaping political outcomes and encouraging citizen participation. Furthermore, analyzing public expectations offers policymakers insights into strengthening democratic decision-making by considering the opinions and needs of the population. It is also important to note that the study will provide an understanding of the political culture in the region. I believe that the research will make a significant contribution to the Georgian academic landscape. The study employs a qualitative approach, with focus groups being the primary method used alongside other research techniques. I believe that the research will also provide recommendations for political parties. On the one hand, it will inform political parties about public expectations in the city of Gori, and on the other hand, it will contribute to translating these expectations into reality and addressing the issues faced by broad segments of society.

Key Words - Parliamentary elections, City of Gori, Public expectations, Pre-election period, Pre-election campaign.

პრობლემის დასმა და საკითხის აქტუალურობა

არჩევნები მნიშვნელოვანი მოვლენაა და უფრო მეტიც, ის ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული მომავლის განმაპირობებელი ქვაკუთხედია, მათ შორის საქართველოსი. მითუმეტეს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ დიდი ყურადღებით მოხდა არჩევნებზე დაკვირვება დასავლეთის მხრიდან. რაც თავის მხრივ ევროკავშირის მხრიდან ცხრა დათქმის ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენს. კერძოდ, დათქმა ითვალისწინებს: „თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფას" - განსაკუთრებით 2024 წელს - და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინებას. საარჩევნო რეფორმების დასრულებას, (რადიო თავისუფლება,2023). აქედან გამომდინარე, საკითხის პრობლემურობა მეტად გამოიხატება იმით, რომ, როგორც წინა საპარლამენტო არჩევნების დროს, ასევე სხვა შემთხვევებშიც აკადემიურ ლიტერატურაში ნაკლებად გამახვილდა ყურადღება რეგიონულ კონტექსტზე. მსურს საზოგადოების წინასაარჩევნო მოლოდინებისა და საჭიროებების კვლევით, ნათელი გავხადო ის ძირითადი ფაქტორები, რომლის გამოც საზოგადოების სხვადასხვა ნაწილი იღებს გადაწყვეტილებას ხმის მიცემის დროს, დავადგინო რა განაპირობებს მათ არჩევანს და ზოგადად მონაწილეობას არჩევნებში.

საზოგადოება იყოფა, როგორც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, ისე მომავლის მიმართ დამოკიდებულებების მიხევით. არჩევნებისადმი მოლოდინის სტრუქტურა სრულიად განსხვავებული აქვთ პესიმისტებს და ოპტიმისტებს. პესიმისტები დარწმუნებული არიან, რომ ამ არჩევნების შემდეგ სრულებით არაფერი შეიცვლება, ისევე, როგორც არაფერი შეცვლილა წინა არჩევნების შემდეგ. ვიღაც იმუნიტეტს მოიპოვებს, ვიღაც - ფულის ახალ წყაროს, ვიღაც - გარანტირებულ პენსიას; ხოლო რიგითი მოქალაქე კვლავ პირისპირ დარჩება თავის გაჭირვებასთან, ოპტიმისტები კი რეალურ ცვლილებებს ელოდებიან. სწორედ ისინი იბრძვიან საარჩევნო ხმის დასაცავად, ინტერნეტში ეძებენ საკუთარ გვარსა და სახელს, დადიან უბნიდან უბანში, ერთი პარტიის შტაბიდან მეორე პარტიის შტაბში და ცდილობენ, არ დაკარგონ კონსტიტუციით ბოძებული ხმის მიცემის უფლება. ასეთ ადამიანებს სრულიად კონკრეტული მოლოდინები აქვთ (ანთაძე, 2003).

საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც საქართველოს ისტორიაში პირველად ელექტრონულად მოხდა ხმის მიცემა უბნების დიდ ნაწილში, რაც კიდევ უფრო აორმაგებდა ინტერესს პროცესისადმი. 2024 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოში საპარლამენტო, რიგით მე-11 არჩევნები გაიმართა (ცესკო, 2024), რომელშიც საზოგადოებამ, კიდევ ერთხელ გააკეთა საკუთარი არჩევანი რითაც, 4 წლის განმავლობაში გადააბარა შესაბამისი პარტიის წევრებს წარმომადგენლობითობის ფუნქცია-მოვალეობები. დემოკრატიული და ღია არჩევნები, რომ მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სახელმწიფოს სწორი გზით განვითარებისათვის, მოწმობს ის ფაქტიც, რომ ყველა ეკონომიკურად, სოციალურად, თუ პოლიტიკურად განვითარებული ქვეყანა ირჩევს ხელისუფლების შეცვლის ისეთ გზას, როგორიცაა არჩევნები.

გორი საკვლევ არეალად რამდენიმე მიზეზის გამო იქნა შერჩეული. პირველ რიგში, იგი არის სასაზღვრო რეგიონი, სადაც საოუკუპაციო ხაზი ყველაზე ახლოსაა გავლებული. ხშირია მოსახლეობის ნაწილის გატაცების მცდელობები, გორის რაიონებიდან. გარდა ამისა 2008 წელს გორი იყო ქალაქი, რომელმაც ყველაზე დიდი მსხვერპლი და ზიანი მიიღო. არსებობს მოსაზრება, რომ ქალაქში კვლავ არსებობს სენტიმენტები და გარკვეული კავშირის აღდგენის სურვილი (მცირე, მაგრამ მაინც) რუსეთის ფედერაციასთან, რასაც მოსახლეობის ნაწილი ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირებს. ხოლო მეორეს მხრივ, 2024 წლის არჩევნები მით უფრო მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანამ მოიპოვა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და საინტერესოა რა გზას მიმართავენ პოლიტიკური პარტიები, იმისათვის, რომ აღნიშნულ არჩევნებში წარმატებას მიაღწიონ.

თეორიული ჩარჩო

კვლევის მიზნის, ამოცანებისა და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია „რაციონალური არჩევანის თეორია". რაციონალური არჩევანის თეორია, რომელიც პირველად მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში განვითარდა, საფუძვლად ედო იდეას, რომ ადამიანები გადაწყვეტილებებს იღებენ მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით, ანუ ისინი მხედველობაში იღებენ ყველა შესაძლებლობას და არჩევენ იმ ვარიანტს, რომელიც მათთვის ყველაზე მეტად სასარგებლო იქნება. ამ თეორიის

ერთ-ერთი ფუძემდებელი ენტონი დაუნსი იყო, რომელმაც ნათლად აღწერა, თუ როგორ ხდება ინდივიდების გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში, სადაც თითოეული არჩევანი ოპტიმიზირებულია და ეფუძნება მათ გრძელვადიან ინტერესებს (Downs,1957).

რადგან რაციონალური არჩევანის თეორია მიიჩნევს, რომ ადამიანები აირჩევენ იმ მოქმედებებს, რომლებიც მათთვის უმოკლეს დროში, ან გრძელვადიან პერსპექტივაში მაქსიმალურ და მათთვის მისაღებ სარგებელს მოიტანს, ეს ძალიან კარგად ერგება აღნიშნულ ნაშრომს, რომელიც მიზნად ისახავს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მოლოდინების კვლევას ქალაქ გორში. ამ თეორიის მიხედვით, მოსახლეობა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს, არ იღებს შემთხვევით და უსაფუძვლო გადაწყვეტილებებს, არამედ ხელმძღვანელობს იმ მოლოდინებით, რომლებიც დაკავშირებულია მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ცხოვრების ხარისხთან. ამომრჩევლები შეაფასებენ წინასაარჩევნო დაპირებებს, წარსულ გამოცდილებას, რათა განსაზღვრონ, თუ რომელი პოლიტიკური ძალა იქნება მათთვის საუკეთესო ალტერნატივა საკუთარი არჩევანის დაფიქსირებისათვის. ამგვარად, ამომრჩევლები სავარაუდოდ მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მათ მოლოდინებთან და პირად სარგებელთან იქნება კავშირში, რაც თავისთავად არსებული მდგომარეობიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს.

ლიტერატურის მიმოხილვა

საზოგადოებრივი მოლოდინების/განწყობების, სოციალური მოლოდინების/განწყობების ცნება, სოციალურ მეცნიერებებში პირველად უ.თომასმა და ფ.ზნანეცკიმ შემოიტანეს. სოციალური განწყობა/მოლოდინი ,,ინდივიდის მიერ სოციალური ღირებულების სუბიექტური მნიშვნელობის განცდას", ანუ ,,გარკვეული სოციალური ღირებულებისადმი ინდივიდის ცნობიერების მიმართებას" წარმოადგენს (ბერძენიშვილი, 2019). შესაბამისად მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ის მახასიათებლები,თავისებურებები და

მოლოდინები, რომლებიც არსებობს ქალაქ გორის მოსახლეობაში. თუ რა ახდენს გავლენას მათ მიერ საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებაში.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ქართველი ამომრჩეველი მეტ-ნაკლებად კარგად იცნობს თითქმის ყველა მოწინავე პარტიას და მათ წარმომადგენლებს, მითუმეტეს ადგილობრივ დონეზე. შესაბამისად სავარაუდოა, რომ მათ უკვე გარკვეული მოლოდინები უყალიბდებათ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. საინტერესოა თუ ითვალისწინებენ ისინი წინა წლების საარჩევნო პროგრამებს? განვლილი წლების პრაქტიკას, თუ რამდენად მოხდა მათი ინტერესების გატარება და გათვალისწინება, საქმე გვაქვს პერსონიფიცირების საკითხთან. სწორედ ამიტომ საჭიროდ ვთვლი მიმოვიხილო აღნიშნული საკითხის გარშემო შექმნილი ლიტერატურული წყაროები, რომელიც მეტ-ნაკლებ სურათს დაგვანახებს, თუ რა ეხმარება ამომრჩეველს გადაწყვეტილების მიღებაში და ზოგადად ენდობიან თუ არა პარტიებს, აპირებენ თუ არა საერთოდ წასვლას არჩევნებზე. ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს, რამდენად ფიქრობს საზოგადოება, იმ შედეგებზე, რაც შეიძლება მათ არჩევანს მოჰყვეს, ანუ რამდენად არგუმენტირებული და თანხვედრაშია მათი მოლოდინები მათ გადაწყვეტილებასთან, რომელიც არჩევნებში ხმის მიცემას განაპირობებს.

ბოლო წლებში ამ საკვლევ საკითხზე მნიშვნელოვანი კვლევები გამოქვეყნდა, რომელთაგან რამდენიმეს მიმოვიხილავ, რათა გამოვკვეთო ის ძირითადი ასპექტები, რომლებზეც აღნიშნული კვლევები ფოკუსირდნენ. უნდა ითქვას, რომ საკითხის გარშემო რამდენიმე მკვლევარი განსხვავებულ ასპექტებს გამოყოფს, ზოგიერთი მათგანი პერსონიფიცირების პრობლემას, ზოგიერთი წინასაარჩევნო რეკლამის მახასიათებელ სიმბოლიკებს და ზოგიერთი სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლს უსვამდა ხაზს, რაც ვფიქრობ ნათლად, წარმოაჩენს იმ დებატების არსს, რაც ამ საკითხის გარშემო არსებობს, მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს გიორგი მელიქიძის „ლიდერი პარტიის პირისპირ: საქართველოს გამოცდილება, სადაც ავტორს განხილული აქვს ის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

საკითხი მნიშვნელოვანი და პრობლემურია იმითაც, რომ საქართველოში ისეთი არჩევნებისთვისაც, კი როგორიც საპარლამენტოა მნიშვნელოვან მახასიათებელს

წარმოადგენს პერსონფიცირების პრობლემა, რომელიც პარტიასა და მის საქმიანობაზე მეტად, წინ მის წარმომადგენელს აყენებს და რომელიმე ლიდერს ანიჭებს უპირატესობას. მაგალითად საქართველოს ისტორიულ კონტექსტში შეგვიძლია მოვიყვანოთ, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო"–სა და ზვიად გამსახურდიას შემთხვევა. „მოქალაქეთა კავშირი"–სა და ედუარდ შევარდნაძის შემთხვევა, „ნაციონალური მოძრაობა" და მიხეილ სააკაშვილი, „ქართული ოცნება" და ბიძინა ივანიშვილი (მელიქიძე, 2022). პერსონიფიცირების ფაქტორი მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რეგიონების მაგალითზე, რადგან სწორედ ქალაქ გორის შემთხვევაში ნათლად გვიჩვენებს არსებობს თუ არა მსგავსი ფაქტორი, რომელიც უბიძგებს საზოგადოებას გადაწყვეტილების მიღებაში.

მნიშვნელოვანია, პოპულისტური ელემენტების ზრდა დასავლურ დემოკრატიებში, რომელსაც შესაძლოა გარკვეული გავლენა ჰქონდეს ამომრჩევლის ქცევაზე საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ლიტერატურას წარმოადგენს გიორგი გოგსაძის სტატია „2024 წლის არჩევნები დემოკრატიებში და ნაციონალისტური პოპულიზმის ზრდა" (გოგსაძე,2024). სადაც ავტორი განიხილავს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლის დახმარებითაც მემარჯვენე პოპულისტური ძალები ახერხებენ მოახდინონ გავლენა ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, ავტორი გამოყოფს 3 ძირითად ფაქტორს: ესაა, ეკონომიკური, კულტურული და ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული მიზეზები. ეკონომიკური ფაქტორებით მანიპულირებენ მემარჯვენე პარტიები და ცდილობენ მოიპოვონ დაბალშემოსავლიანი და ეკონომიკურად გაჭირვებული ამომრჩევლის ხმები, კულტურული ფაქტორებით მანიპულირების ნათელი მაგალითია ანტი ლგბტ პროპაგანდის წინა პლანზე წამოწევა მათ შორის უნგრეთში, ხოლო ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული ფაქტორი კი ძირითადად მიგრაციის გაზრდილ მაჩვენებლებთანაა დაკავშირებული. სტატია მნიშვნელოვანია, რადგანაც საქართველოშიც სულ უფრო და უფრო იზრდება პოპულისტური და ულტრამემარჯვენე ჯგუფების რაოდენობა, მათ შორის ეს გამოიხატება ანტიევროპული და ევროსკეპტიკური რიტორიკით, რომელიც ნამდვილად არსებობს დღევანდელ რეალობაში (სილაგაძე,2020).

საყურადღებოა, რომ ამომრჩევლის მოლოდინების ჩამოყალიბებაში და გარკვეულწილად გადაწყვეტილების მიღებაში დიდ როლს თამაშობს პარტიების მიერ

განხორციელებული პიარ-კამპანია. დარენ ლილეკერი და დენიელ ჯექსონი თავის ნაშრომში „Visual political communication“ - საუბრობენ, რომ როგორც წესი წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურდებიან სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც აქვთ გარკვეული გავლენა მედია საშუალებებზე. ასევე ისეთი ჯგუფები, რომლებიც ფინანსურად უზრუნველყოფილნი არიან და შეუძლიათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სხვადასხვა ვიზუალური მასალის განთავსება დიდი რაოდენობით ახორციელებენ ნეგატიურ კამპანიას, რომელიც დაკავშირებულია მათი ოპონენტების რეიტინგის შემცირებისაკენ (Jackson&Lileker,2019). რა თქმა უნდა ეს ქმედება პირდაპირ დაკავშირებულია ელექტორატის მოლოდინების ჩამოყალიბებასა და ცვლილებასთან, იმ მოლოდინებისა, რომლის მიხედვითაც გააკეთებს კონკრეტული პიროვნება არჩევანს.

სწორედ, ამ თემას ავრცობს მერცია ხუნდაძე სტატიაში „ნეგატივი საარჩევნო კამპანიაში - სისხლიანი ბანერები“ სადაც ავტორი საუბრობს, რომ ნეგატიური საარჩევნო კამპანიის ძირითადი ფესვები საქართველოში 2012 წლიდან მოდის, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ ამ გზით „ერთიან ნაცონალურ მოძრაობას“ მხარდამჭერების უდიდესი ნაწილი ჩამოაშორა. შესაბამისად სავარაუდოა, რომ ამომრჩევლის გადაწყვეტილებასა და მისი მოლოდინების ჩამოყალიბებაზე ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან მიმართებით ნეგატიურ კამპანიის წარმოებას გარკვეული გავლენა ექნება (ხუნდაძე,2023).

მიშელ ალვარეზი, როდერიკ კიევეტი და ლუკას ნუნეზი საკუთარ სტატიაში „Preferences, Consntraints, And Choices, Tactical Voting In Mass Elections“ - საუბრობენ იმ ძირითად თავისებურებებზე, რომელიც საარჩევნო პროცესს ახასიათებს, კერძოდ, აქცენტი კეთდება საარჩევნო სისტემის ტიპზე. ავტორები საუბრობენ, რომ სადაც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემაა, იქ ხშირად ადგილი აქვს პერსონიფიცირების ფენომენს. გარდა ამისა ავტორები საუბრობენ ე.წ. „ტაქტიკური ხმის მიცემის“ ფენომენზე. ეს არის ისეთ მდგომარეობა, როდესაც ამომრჩეველს უყალიბდება მოლოდინი რომ მისთვის მისაღები კანდიდატი ვერ დააგროვებს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრ საჭირო ხმებს და არჩევანს აკეთებს, სხვა ისეთ საარჩევნო სუბიექტზე, ვინც მისი აზრით საზოგადოებაში უფრო პოპულარულია (Alvarez&Kiewet,2000). საინტერესოა არის თუ

არა მსგავსი სახის შემთხვევები ქართულ პოლიტიკაშიც, კერძოდ, ქალაქ გორის ამომრჩეველში.

ვაგნერი და მეიერი „How do Voters Form Perceptions of Party Positions?“ -ში ამტკიცებენ, რომ ამომრჩევლის წინასაარჩევნო მოლოდინი და ის თუ როგორ ფორმირდება მისი პოზიცია ამა თუ იმ პარტიასთან დაკავშირებით იდეოლოგიური ხასიათი აქვს და გამომდინარეობს იქიდან, თუ რამდენად ეთანხმება ამომრჩეველი კონკრეტული პარტიის კონკრეტული სახის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა შეიძლება დაკავშირებული იყოს პარტიის შეხედულებებთან: გადასახადების, სოციალური პროგრამების, ბიზნესის თავისუფლებისა და სხვა სახის საკითხებთან, საინტერესოა რამდენად არის ქართულ საზოგადოებაში მოლოდინები იმისა, რომ ხმის მიცემის პრეფერენციებს იდეოლოგიური საკითხისადმი მიკუთვნებულობა განსაზღვრავს (Wagner&Meyer,2022).

საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე არჩევნებში და მათ ნდობას პოლიტიკური პარტიებისადმი, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ლევან კახიშვილის ავტორობით შესრულებული პოლიტიკის დოკუმენტი „ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია: რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება, სადაც ავტორი მიმოიხილავს, თუ რამდენად შემცირდა ნდობა ამომრჩევლის მხრიდან პარტიებისადმი, მაგალითისათვის, თუ 2012 წელს ეს 21%-მდე იყო, 2017 წლის მონაცემებით ეს პროცენტი 7%-მდეა შემცირებული (კახიშვილი, 2019). ავტორი გამოყოფს ნდობის განმაპირობებელ 4 ძირითად ფაქტორს: კომპეტენციას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებასა და პროგნოზირებადობას. ავტორი მთავარ პრობლემად საზოგადოებისა და პარტიის ურთიერთკავშირის ნაკლებობას მიიჩნევს, რომელიც არასწორი კომუნიკაციითაა გამოწვეული. შესაბამისად არსებული ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის შეხედულებებს და მოლოდინებს მაინც რიგ შემთხვევაში ობიექტური რეალობიდან გამოსული პრობლემები განსაზღვარვს, თუმცა ასევე დიდ როლს თამაშობს სუბიექტური შეხედულებები, რაც თუნდაც არჩევნების პროცესში პერსონიფიცირების ფაქტორით შეგვიძლია ავხსნათ.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო საზოგადოებრივი მოლოდინების შესწავლა ქალაქ გორის მაგალითზე. კვლევის ობიექტებს კი წარმოადგენენ: ამომრჩევლები, რომლებიც ჰომოგენურად იქნებიან ფოკუს ჯგუფებში გადანაწილებული. ასევე კვლევის ობიექტებია ის ნაშრომები და დოკუმენტური მასალები, რომლებიც საკვლევ საკითხზეა შემქნილი. რაც შეეხება კვლევის კითხვას იგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- რა თავისებურებებით ხასიათდება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მოლოდინები ქალაქ გორის მაგალითზე?

კვლევის ამოცანები კი შემდეგია:

- შესწავლილ იქნას ქალაქ გორში და მის რაიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ წინასაარჩევნო მოლოდინებზე.
- შევისწავლო მოსახლეობის აზრი და ანალიზის საფუძველზე ნათელვყო ის საერთო საჭიროებები, რომელზეც უმრავლესობა თანხმდება/მიუთითებს.

არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით კი კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მოლოდინებზე ქალაქ გორის მაგალითზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც აისახება მოსახლეობის საერთო საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე, რომლებიც თანხვედრაშია ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრის ძირითად ტენდენციებთან.

აღნიშნული კვლევის მიზნის, საკვლევი ობიექტების, საკვლევი კითხვების, კვლევის ამოცანების, კვლევის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე კვლევა თვისებრივია და გამოყენებულია ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდები. ასევე კვლევაში გამოყენებულია მეორეულ მონაცემთა და დოკუმენტთა ანალიზი. რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი უპირატესობები, რომლებმაც საშუალება მოგვცა შერჩეული საკითხი სიღრმისეულად შეგვესწავლა და ანალიტიკურად გაგვეაზრებინა. ფოკუს ჯგუფები შედგენილი იქნა ჰომოგენური ნიშნით, რომელმაც

საშუალება მოგვცა ღრმად ჩავწვდომოდით მონაწილეთა აზრებს, გრძნობებსა და მოსაზრებებს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. ფოკუს-ჯგუფური დისკუსიების ინტერაქტიულმა ბუნებამ ხელი შეუწყო მონაწილეებს, თავისუფლად გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები. საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფებმა საშუალება მოგვცა კომპლექსურად შეგვესწავლა საკითხი, სიღრმისეული შეხედულებები შეგვექმნა და მრავალფეროვანი პერსპექტივები გაგვეგო ჯგუფური ურთიერთქმედების და დინამიური დისკუსიის მეშვეობით. როგორც ითქვა კვლევა თვისებრივ მიდგომას ეყრდნობა, რადგან ვთვლი, რომ შერჩეული მეთოდი ყველაზე მეტად მაძლევდა დაკვირვების საშუალებას, როგორც ვერბალურად გამოთქმული აზრების თანმიმდევრობაზე, ისე სხეულის ენაზე.

სულ ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი, რომელიც 3 ჰომოგენურ ჯგუფად დავყავი, ასაკობრივი თვალსაზრისით (18-30; 31-60; 60+) და თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 3-4 ადამიანს. ფოკუს ჯგუფი საშუალოდ 35 – 45 წუთი გრძელდებოდა. ფოკუს ჯგუფისათვის გამოყენებული იქნა სადისკუსიო გეგმა, რომლის მეშვეობითაც წარიმართა თითოეული მათგანი. ხოლო მათი ჩატარების შემდგომ მოხდა მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ტრანსკრიპტი, კოდირება, კატეგორიზაცია და კონტექსტური ანალიზი.

კვლევაში გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზის მეთოდი, აღნიშნული მიდგომა დამეხმარა, რომ შემესწავლა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული წყროები. ამ მიდგომის ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ მასზე არ ახდენს გავლენას კვლევის პროცესი, არამედ შევისწავლით მას იმ ჩარჩოებში, როგორი სახითაც ის ჩვენამდეა მოღწეული.

გამოყენებული იქნა არაალბათური შერჩევის მიზნობრივი ტიპი, რადგან, ვიცოდი, რომ ჯგუფური ინტერვიუებიცა და სიღრმისეული ინტერვიუებიც ჩემ მიერ უშუალოდ შერჩეულ აუდიტორიასთან უნდა ჩატარებულიყო და ასევე ის დოკუმენტები და ოფიციალური წყაროები, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზნობრივად იყო შერჩეული.

კვლევის მიმდინარეობისას კვლევის ეთიკა სრულიად დაცულია და არ გამოვლენილა არანაირი ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, თითოეულ შემთხვევაში რესპონდენტებისგან მიღებული იყო სიტყვიერი თანხმობა, იმის შესახებ რომ გაკეთდებოდა აუდიო ჩანაწერი და მონაცემები დამუშავდებოდა კვლევის მიზნისა და ამოცანებისამებრ. აქვე, ისიც აღსანიშნავია,

რომ კონფიდენციალურობა დაცულია, თითოეულმა მათგანმა იცოდა, რომ მონაცემები არ იქნებოდა წარმოდგენილი მათი უშუალო სახელითა და გვარით, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ნდობა კვლევისადმი და რესპონდენტები უფრო გულახდილები და გახსნილები გახადა.

რაც შეეხება კვლევის შეზღვას, ძირითადი წინააღმდეგობა მაინც, რესპონდენტების შერჩევა იყო, კერძოდ, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც უკვე შეთანხმებულმა რესპონდენტმებმა უარი განაცხადეს ფოკუს ჯგუფში მონაწილეობაზე, პირადი გადაუდებელი მიზეზების გამო, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დროულად მოხდა სხვა რესპონდნენტით მისი ჩანაცვლება და შეიძლება ითქვას, რომ ამან კვლევის შედეგებზე დიდი გავლენა არ მოახდინა.

კვლევის შედეგები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები, ასევე დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუები (იმ პირებთან, ვინც ვერ მოახერხა ფოკუს ჯგუფზე დასწრება) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისადმი საზოგადოების მოლოდინების შესწავლასთან დაკავშირებით ქალაქ გორის მაგალითზე. შეიძლება ითქვას, რომ კვლევამ მეტ-ნაკლებად განსხვავებული შედეგები მოგვცა, რომელიც რამდენიმე მიზეზით შეიძლება იქნას ახსნილი მათ შორის ძირითადი მიზეზია, ის რომ ფოკუს ჯგუფები, რომელზეც ძირითადი აქცენტი იყო გაკეთებული, განსხვავებული ასაკის მქონე მკვიდრ მოსახლეობაში ჩატარდა და ბუნებრივიცაა, რომ როგორც წესი სხვადასხვა ასაკის ადამიანს აქვს განსხვავებული, მოთხოვნები, საჭიროებები, მოსაზრებები, მისწრაფებები, პოლიტიკური და სოციალიური შეხედულებები. შესაბამისად რიგ შემთხვევაში მოლოდინებიცა და შეხედულებებიც სხვადასხვა საკითხზე, აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ მაინც შეიძლება, გამოვყოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომელზეც ყველაზე მეტად იქნა ყურადღება გამახვილებული, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, ესენია: პოლიტიკური საკითხები/პარტიისადმი შეხედულებები და ზოგადად არჩევნების მიმართ შეხედულებები, საგარეო პოლიტიკა, ტურიზმის მიმართულება, სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება, ჯანდაცვა. შესაბამისად ქვემოთ სწორედ ამ

მიმართულებების შესახებ ვისაუბრებ, თუ რას ფიქრობენ და რა ფაქტორები განაპირობებს რესპონდენტების საარჩევნო მოლოდინებს და როგორია მათი შეხედულებები.

პოლიტიკური ვექტორი (საშინაო პოლიტიკა)

დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების შესახებ საუბრისას ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ არჩევნები მხოლოდ მაშინ არის დემოკრატიული და სამართლიანი, როდესაც ყველას შეუძლია უპრობლემოდ გამოხატოს თავისი არჩევანი, შიშისა და შეზღუდვების გარეშე. რესპონდენტთა აზრით, გორში არჩევნების პროცესში ადამიანები ხშირად ვერ ახერხებენ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი არჩევანი. ზოგიერთ შემთხვევებში მოსახლეობის აზრს გავლენას უქმნიან მოსყიდვით, ან დაშინების მცდელობებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არჩევნების შედეგებზე მანიპულირება. დისკუსიის მონაწილეთა ნაწილი იმასაც, აღნიშნავს, რომ ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე ხშირად გავლენას ახდენენ მისი მეგობრები და ახლობლები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა და სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტებმა შემოიტანეს ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება საარჩევნო კომისიის ფორმირებასა და პარტიების არათანაბარი რესურსების მდგომარეობას. მათი დასკვნით, ერთ-ერთი პარტიის დომინირება საარჩევნო კომისიაში წარმოშობს დამატებით უნდობლობას. საარჩევნო პროცესისადმი, გარდა ამისა, ხშირად არჩევნები კანონდარღვევებით მიმდინარეობს, რადგან ადგილი აქვს დარღვევებს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უდიდესი, ნაწილი თითქმის სრული უმრავლესობა, როდესაც საქმე საპარლამენტო არჩევნებს ეხება საუბრობს არჩევნებზე, როგორც მათ ლეგიტიმურ საშუალებაზე, რომ მიიღონ მონაწილეობა მასში და შეცვალონ არსებული ხელისუფლება, ან შეინარჩუნონ, იქიდან გამომდინარე თუ რამდენად ეფექტიანად, სრულყოფილად ან არაეფექტურად შეასრულა მან მისთვის მიცემული 4 წლის მანდატი. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს, რომ მოსახლეობის ნაწილს მტკიცედ აქვს გამჯდარი მონაწილეობის კულტურა და აღებული აქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რომელიც გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა არჩევნებზე სიარული, რწმენა დემოკრატიული ფასეულობების. შესაბამისად, ისინი საკუთარი თავს

მიიჩნევენ სახელმწიფოს სრულფასოვან მოქალაქედ და აქტიურ ინდივიდებად, რომლებსაც სჯერათ, რომ თითოეული ინდივიდის ჩართულობა არის საჭირო დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის, სადაც მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა მყარი დემოკრატიის მთავარი საძირკველია. საყურადღებოა, რომ რესპოდენტთა ის ნაწილი, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს, საუბრობს იმაზე, რომ წარსულის გამოცდილება მათ არ აძლევთ იმედს, რომ ამ არჩევნების შემდგომ, რაიმე რადიკალურად შეიცვლება, თუმცა ფიქრობენ და ითავისებენ მათ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, რომელიც მათი მხრიდან არჩევნებში მისვლასა და საკუთარი ხმის დაფიქსირებას გულისხმობს. გამოიყო ორი ძირითადი მიმართულება: 1) ესაა სკეპტიციზმი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც რიგ შემთხვევაში აბსენტეიზმს იწვევს. მოვლენა, რომელიც კარგად არის ნაცნობი, არა მხოლოდ საქართველოსთვის და ჩვენნაირი განვითარებადი ქვეყნისთვის, არამედ ისეთი ქვეყნებისთვისაც კი როგორიცაა, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე არსებული სახელმწიფოები: 2) მიმართულება კი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გათვიცნობიერება და მომავლის რწმენას გულისხმობს, რომელიც რა თქმა უნდა გვიქმნის წარმატებული მომავლის იმედს, ისეთი მომავლისა, როდესაც სახელმწიფოს თითოეულ ინდივიდს გათვიცნობიერებული ექნება მისი ხმის მნიშვნელობა და ზოგადად არჩევნების, როგორც მათი მთავარი ბერკეტის მნიშვნელობა გამოხატონ საკუთარი უკმაყოფილება ან კმაყოფილება ყოველ 4 წელში ერთხელ.

"მგონია, ერთგვარი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა ადამიანისთვის, რომ მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მრავალი უარყოფითი გამოცდილება გვქონდა, როდესაც პოლიტიკოსები არ ასრულებენ იმ დაპირებებს, რომელიც ასახულია მათ საარჩევნო პროგრამებსა და კამპანიის მიმდინარეობისას. მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ თუ ვინმე მის მომავალს ქმნის ეს თავადაა და შესაბამისად სწორედ თვითონაა ვალდებული მივიდეს არჩევნებზე, დააფიქსიროს საკუთარი ხმა და ამით გამოხატოს მისი სურვილი შეცვალოს ან დატოვოს არსებული მმართველი ძალა. თავის მხრივ პოლიტიკურმა პარტიებმაც უნდა იფიქრონ, როგორ მოახდინონ ურთიერთობის სტრუქტურიზება ხალხთან, რადგანაც

ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული პოლიტიკური პროცესი ყოველთვის მომგებიან გარემოს ქმნის“. - მარიამი 43 წლის.

რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელსაც აქამდე არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები მათთვის პირველი შესაძლებლობაა, რომ დააფიქსირონ საკუთარი არჩევანი, ერთგვარი ენთუზიაზმით არიან აღჭურვილნი და მოუთმენლად ელიან, როდის ჩაერთვებიან პროცესში, რომელმაც მათი წარმატებული და ნაყოფიერი მომავალი უნდა უზუნველყოს. საუბარში გაირკვა, რომ მათი დიდ ნაწილს გარკვეულწილად აქვს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება მაგალითად, როგორიცაა პარტიათა საყოველთაო შეკრებებზე დასწრება, მიტინგებსა და აქციებზე ყოფნის გამოცდილება, ასევე ზოგიერთი მათგანი ესწრებოდა ადგილობრივი ხელისუფლების, საკრებულოს, ეგიდით, ჩატარებულ ყოველთვიურ სხდომებს, იქნებოდა ეს მერიისა თუ გამგეობის დონეზე. მაგრამ მათი მონაწილეობა ამ შემთხვევაში ძირითადად მაინც ირიბი იყო და უშუალოდ არ აურჩევიათ ესა თუ ის ხელისუფლება.

„ვარ 20 წლის და აქამდე არ მქონია შესაძლებლობა, რომ მონაწილეობა მიმეღო საპარლამენტო, საპრეზიდენტო, ან თვითმმართველობის არჩევნებში. შესაბამისად უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ, როგორც ჩემი თავის, ასევე სამშობლოსა და უშუალოდ ჩემი ქალაქის გორის წინაშე, ვინაიდან და რადგანაც სწორედ 26 ოქტომბერს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება მნიშვნელოვანი და ის გადაწყვეტს თუ როგორ წარიმართება ჩვენი ქვეყნის, ქალაქისა და რაიონის ბედი მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ვფიქრობ თითოეული გორელი ახალგაზრდა, რომელსაც ჩემსავით პირველად აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ამ არჩევნებში, აუცილებლად უნდა მივიდეს და ხმა მისცეს, რადგან ეს საკუთარი ცხოვრების ფორმირების პროცესზე აუცილებლად მოახდენს გავლენას” - ელენე 20 წლის.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ არიან რესპონდენტებიც, რომლებსაც უარყოფითი მოლოდინები აქვთ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე და ვერ ხედავენ არჩევნების მნიშვნელობას ან ნაკლებ მნიშვნელოვნად აფასებენ მას. მსგავსი ნიჰილისტური მოლოდინები, რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას, მაგრამ უმთავრესი მაინც წარსული

გამოცდილებაა, როდესაც მათ ხმა მისცეს მათთვის სასურველ კანდიდატს და შემდეგში იმედები, რომლებიც არსებობდა არ გამართლდა. ან ხმა მისცეს მათთვის სასურველ პარტიას, თუმცა პარტიამ ვერ მოახერხა პარლამენტში, ან ადგილობრივ თვითმმართველობაში საჭირო მანდატებისათვის საჭირო ხმების რაოდენობის დაგროვება.

"პოლიტიკა ყოველთვის იყო ჩემთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ინტერესის სფერო, რასაც ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვადევნებდი თვალს, როგორც ჩანს, სისტემაში არც თუ ისე ბევრი რამ იცვლება. წლების განმავლობაში არაერთი არჩევნები მახსენდება, სადაც პარტიებმა საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამები და დაპირებები ასახეს დოკუმენტურად და ბოლოს არაფერი შეცვლილა, დაპირება დაპირებად დარჩა პროგრამა კი მხოლოდ ჩანაწერად. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მოქალაქეთა, ანუ ჩვენს რეალურ ინტერესებს, შემოიფარგლება რა მხოლოდ პოპულისტური წინასაარჩევნო გარემოთი და ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ მალევე ივიწყებს მისსავე დანაპირებს" - გოჩა 56 წლის.

ზოგიერთი ადამიანი აღნიშნავს, რომ როგორც წესი პოლიტიკური პარტიები მხოლოდ საარჩევნო პერიოდში აქტიურდებიან და მხოლოდ ამ დროს „ახსენდებათ" მოსახლეობა, როცა ხმები და მხარდაჭერა სჭირდებათ, რაც არ შეეფერება განვითარებული და საარჩევნო დემოკრატიების კულტურას, ვინაიდან მნიშვნელოვანია პარტიასა და მოქალაქეებს შორის მუდმივი კავშირი, მუდმივი საუბარი, შეხვედრები, როგორც ფართო მასებთან, ასევე ინდივიდუალურ დონეზე, სადაც მოხდება მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების დადგენა, პრიორიტეტების განსაზღვრა და შემდგომში მისი რეალიზება, რომელიც დააკმაყოფილების საზოგადოების ყველა სექტორს, იქნება ეს საჯარო თუ კერძო, ასევე ყველა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანს, განურჩევლად, სქესის, რელიგიისა და პოლიტიკური შეხედულებისა. მნიშვნელოვანია ერთის მხრივ მოქალაქეებმა, ხოლო მეორეს მხრივ უშუალოდ პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებმა, გაითავისონ თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ურთიერთთანამშრომლობასა და ერთმანეთისათვის ყურადღების დათმობას, რომლის ნაკლებობაც ნამდვილად გვაქვს დღევანდელ პოლიტიკურ გარემოში. აღნიშნული საყურადღებოა მით უფრო, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც განკუთვნილია ქალაქ გორისა და მისი რაიონისთვის უნდა მოხდეს უშუალოდ ადგილობრივი

ხელისუფლების ჩართულობით, ვინაიდან სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ იმ საჭიროებების ნუსხა, რომელიც მის მოსახლეობას გააჩნია და არა ცენტრალური ხელისუფლების მიერ, დედაქალაქში შემუშავებული, თუ არ ჩავთვლით რა თქმა უნდა იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.

„დღეს საქართველოში ყველაფერი ისე მიდის, რომ როგორც კი ვინმეს მოვალეობის შესრულების დრო დადგება, და სკამს მოირგებს პირიქით აკეთებს ყველაფერს, ან საერთოდ არაფერს არ აკეთებს. პარტიები გვატყუებენ, ემოციურად მოქმედებენ ჩვენზე, ყოველი არჩევნების შემდგომ იმედგაცრუებული ვრჩები, მეუბნებიან, რომ ყველაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ, რომ ხალხს დაგვეხმარებიან ჩვენი ცხოვრების წარმატებულად განვითარებაში, მაგრამ არაფერი არ იცვლება, ერთ წრეზე ვტრიალებთ....“ - ინგა 43

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური კუთხით თუ განვიხილავთ ქალაქ გორის მოსახლეობას და მათ მოლოდინებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, გამოიკვეთა ის აზრი, რომ რესპონდენტთა თითქმის სრული უმრავლესობა აპირებს არჩევნებზე მისვლას და ხმის დაფიქსირებას, მიუხედავად წარსული წყენებისა და გამოცდილებისა, აბსენტეიზმს ნაკლებად აქვს ადგილი, თუმცაღა ისიც აღსანიშნავია, რომ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოქალაქეები უარყოფითად არიან, არჩევნებისა და ზოგადად პოლიტიკური პროცესების მიმართ განწყობილნი და არ მიიღებენ მასში მონაწილეობას. უფრო მეტად ეს სჭარბობს საშუალო ასაკის ამომრჩეველში, ხოლო რაც შეეხება ახალგაზრდებს 30 წლამდე, ისინი უფრო მეტი ენთუზიაზმით ელიან 2024 წლის 26 ოქტომბერს, განსაკუთრებით კი ის კატეგორია, რომელიც პირველად იღებს არჩევნებში მონაწილეობას. აღნიშნული კარგად უკავშირდება შერჩეულ თეორიულ ჩარჩოსაც, რისი მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები, რომლებიც ენთუზიაზმით იყვნენ აღჭურვილი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო მათი სამომავლო კეთილდღეობის ხელშეწყობა. კერძოდ არჩევნებში მონაწილეობით და საკუთარი აზრის დაფიქსირებით უფრო დიდი შანსია, რომ მიაღწიო შენთვის სასურველ მიზანს ვიდრე აბსენტეიზმით.

საგარეო პოლიტიკური ვექტორი

მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩევლების მოლოდინები საგარეო პოლიტიკის წარმართვასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი და განსხვავებულია. კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობასთან მიმართებით თუ ისინი ფაქტობრივად ერთ აზრზე არიან, საგარეო პოლიტიკის საკითხი უფრო მეტად მრავალფეროვანია იმ კუთხით, რომ ერთი ნაწილისათვის მისაღებია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება და დადებითად აფასებს საქართველოსათვის მინიჭებულ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, მეორე ნაწილისთვის კი ევროკავშირში გაწევრიანება გარკვეულ საფრთხეებთანაა დაკავშირებული, რაც ჩვენი ჩრდილოელი „მეზობლის“ ფაქტორიდან და სხვა მიზეზებითაა გამოწვეული. ასევე არსებობს მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ უნდა აირჩიოს სამხედრო და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უნდა იზრუნოს საკუთარი თავის, საკუთარი ძალებით განავითაროს ქვეყნის, სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება. რაღა თქმა უნდა თითოეულ პოზიციას და მიმართულებას აქვს თავისი არგუმენტები და მოსაზრებები, რომელიც იწვევს მხარდაჭერას კონკრეტული საგარეო ორიენტაციისადმი.

რესპონდენტთა ის ნაწილი, რომლებიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განვითარებას ევროკავშირში გაწევრიანებაში ხედავენ რამდენიმე ძირითადი არგუმენტით ამყარებენ, საკუთარ მოსაზრებას, რომელთა შორისაც მთავარია უსაფრთხოების მნიშვნელობის გაზრდა აღნიშნული კუთხით. უსაფრთხოების მნიშვნელობა დაკავშირებულია ქვეყნის არსებულ მდგომარეობასთან და სტრატეგიულ მდებარეობასთან, რომელიც გულისხმობს რუსეთის ფედერაციისგან დაცვას. კერძოდ, რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ თუ ჩვენ ვიქნებით ისეთი კავშირის წევრები, სადაც თავმოყრილი იქნება 30-მდე ქვეყანა, რომლებსაც ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება ექნებათ ნაკისრი მაშინ აგრესორი ქვეყანაც ნაკლებად გაბედავს ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც ჩვენი უსაფრთხოების წინააღმდეგ იქნება მიმართული. გარდა ამისა საგარეო კურსის არჩევაზე უდიდესი გავლენა აქვს იმ მოვლენებს, რომელიც ამ ქალაქში 2008 წლის აგვისტოში მიმდინარეობდა,კერძოდ, ქალაქი მასშტაბურად იბომბებოდა რუსული დანაყოფების მიერ არაერთი დღის განმავლობაში, ასევე რაიონებში მაცხოვრებელი ადამიანთა დიდი რიცხვი გახდა ლტოლვილი.

ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება არის მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ დისკურსს, რადგანაც ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ევროკავშირი შექმნისთანავე ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.

თუმცა მიუხედავად არსებული ევროპული განვითარების დისკურსისა არსებობს ისეთი დისკურსებიც, რომელიც გულისხობს ძველი ურთიერთობების აღდგენას რუსეთის ფედერაციასთან. აღნიშნულ დისკურსს შესაძლოა რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდეს მათ შორის ერთ-ერთი სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა. როგორც ცნობილია გორსა და გორის რაიონში დამზადებული და მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი წილი ექსპორტზე რუსეთში გადიოდა. ყურადსაღებია საბჭოთა მემკვიდრეობის კვალიც, განსაუთრებით 60+ ასაკის ადამიანებში, რომელთაც ახსოვთ მაშინდელი მდგომარეობა, როდესაც თითოეული მათგანი იღებდა გარკვეულ წილს სოფლის მეურნეობიდან, ე.წ. კოლექციური მეურნეობებიდან. საგარეო პოლიტიკურ ვექტორში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნათესაური კავშირები, რადგანაც საბჭოთა მემკვიდრეობამ დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ დანათესავდა ბევრი ეროვნებით ქართველი და რუსი, ასევე ქართველი და ოსი ადამიანი და არსებული კონფლიქტების შემდგომ კავშირი მათ შორის გაყინულია და ფაქტობრივად არ არსებობს, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ქართულ და ოსურ ურთიერთობებზე.

სოციალურ-ეკონომიკური ვექტორი (უმუშევრობა)

უმუშევრობა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, როგორც მთლიანი საქართველოსათვის, ასევე ქალაქ გორისა და მისი რაიონისთვის. 2023 წლის მონაცემების მიხედვით უმუშევრობის დონე 16.4% (საქსტატი,2023) შეადგენს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დასაქმებულთა უდიდესი რაოდენობა, როგორც ამას ჩვენი რესპონდენტები აღნიშნავენ თვითდასაქმებულია, რომელსაც ნაკლებად აქვთ ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან და ძირითადი პრობლემების მოგვარებას თითოეული ადამიანი საკუთარი ძალებით ცდილობს. როგორც შედეგებმა აჩვენა ქალაქში არ არის ისეთი სივრცეების საკამარისი რაოდენობა,

სადაც ადამიანები შეძლებენ დასაქმებას. ძირითადი ნაწილი დასაქმებულია: ავეჯის, ტექნიკის, სურსათის მაღაზიებში, რომელთა ხელფასებიც ვერ აკმაყოფილებს ადამიანისათვის საჭირო ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ კვლევაში მონაწილეთა ასაკობრივი კატეგორიები, იქიდან გამომდინარე, რომ იმ რესპონდენტთა ნაწილი, რომელთა ასაკიც 50 წელს აჭარბებს, ამბობს, რომ თუნდაც ქსელურ ბიზნესებშიც კი ხდება მათთვის უარის თქმა და უპირატესობა შედარებით ახალგაზრდა კადრებს ენიჭებათ, რაც ამ ასაკის ადამიანებისათვის განვითარების საშუალებას აფერხებს. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, ის რომ იმ ახალგაზრდებში, რომლებიც არიან სტუდენტები და სჭირდებათ საკუთარი შემოსავალი მათთვის არ არსებობს სამუშაო გარემო, რომელსაც სასწავლო პროცესთან შეათავსებენ:

„ვარ გორის უნივერსიტეტის სტუდენტი და მიჭირს სწავლასთან ერთად პარალელურად მუშაობა, თუმცა მეორე მხრივ მჭირდება საკუთარი თანხა, რომელსაც ჩემს თავს მოვახმარებ“ – სოსო 23 წლის.

კვლევაში მონაწილეთა, დიდი ნაწილი აცხადებს, რომ უმუშევრობის პრობლემა ყველა არჩევნების წინ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და აქამდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო პრობლემის მოგვარება. მათი განცხადებით ყოველი არჩევნების წინ პარტიების უმეტესობა ამ საკითხის აღმოფხვრას ჰპირდება, თუმცა სტატისტიკაც მეტყველებს, რომ პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. მოსახლეობა შიშობს, რომ თუ აღნიშნული ტენდეცია კვლავ გაგრძელდება სახეზე გვექნება მიგრაციის ზრდა გორიდან სხვა ქალაქებში. შესაბამისად ერთის მხრივ ადილობრივ ბაზარს მოაკლდება სამუშაო ძალა, მოხდება სამუშაო ძალის გადინება, რაც ისევ ამ ქალაქზე იმოქმედებს უარყოფითად.

ტურიზმის მიმართულება

გორის მუნიციპალიტეტში დიდი პონტენციალი არსებობს ტურიზმის განვითარებისა და მისგან ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის მიმართულებით, კერძოდ, ტურისტებს იზიდავს მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები. აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არის 330 კულტურული

მემკვიდრეობის ძეგლი. მათ შორის, 53 უშუალოდ ქ.გორში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი მის რაიონში.

დიაგრამა #1 ტურიზმის სტატისტიკა გორში 2016-2023 წლებში.



წყარო: https://gori.gov.ge/index.php?m=412. გორის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი.

გრაფიკიც აჩვენებს, თუ რამდენად დიდი პოტენციალი აქვს ქალაქს, გაზარდოს თავისი ტურისტული პოტენციალი და დაიბრუნოს ის მაჩვენებლები, რომელიც 2020 წლამდე, ანუ კორონავირუსამდე დააფიქსირა.

ფოკუს ჯგუფის წევრები ამბობენ, რომ ყურადღებას ასევე მიაქცევენ საარჩევნო პროგრამებში, ისეთი პარტიების პროგრამის მხარდაჭერას, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტიც ტურისტული პოტენციალის გაზრდა იქნება, რაც მათი, აზრით რამდენიმე დადებით შედეგს გამოიღებს. პირველ რიგში, გაიზრდება ქალაქისა და გორის რაიონის ცნობადობა მსოფლიოს მასშტაბით, ასევე, ცნობადობის ზრდა, ავტომატურად გამოიწვევს ეკონომიკურ ბენეფიტებს, გარდა ამისა გაზრდილი ცნობადობა ზრდის შესაძლებლობას, რომ ბიზნესმა მოახდინოს ინვესტირება ადგილობრივი მასშტაბით, რაც თავის მხრივ შექმნის სამუშაო ადგილებს და აღმოფხვრის იმ პრობლემას, რომელიც ერთ-ერთია მწვავეა არა მხოლოდ გორის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასევე აღნიშნულ შემთხვევაშიც

ადგილობრივი მოსახლეობის ეს იდეები, რომელიც მათი პირადი, ქალაქისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად კარგად ესადაგება ენტონი დაუნსის „რაციონალური არჩევანის თეორიის“ საფუძვლებს, თანაც ეკონომიკური ბენეფიტები ხომ უმთავრესი იყო საიდანაც საფუძელი ჩაეყარა ამ თეორიის არსებობას.

„ჩვენ ანუ ჩვეულებრივმა ამომრჩეველმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ რაღაცის მიხედვით, ხომ უნდა გავაკეთოთ არჩევანი 2024 წლის არჩევნებზე, ჩემთვის პირადად, როგორც მკვიდრი მოსახლისა და ერთი უბრალო პასუხისმგებლიანი მოქალაქის აზრით, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის, ასევე ადგილობრივი კულტურის ცნობადობის გაზრდის საუკეთესო გზად მესახება, ტურისტული მიმართულებით მუშაობა, მაგალითად ჩვენს ქალაქში უამრავი სანახავი და მათ შორის მსოფლიო მნიშვნელობის ადგილია, რომლის პოპულარიზება და ხილვადობის გაზრდაა საჭირო, რაშიც ვფიქრობ აქტიურად უნდა ჩაერთოს ადგილობრივი ხელისუფლება, შესაბამისად ჩემი არჩევანი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი პარტია რა გეგმას დასახავს ამ მიმართულების განვითარების მიზნით“ – ლიანა 42 წლის.

ამომრჩეველი ერთის მხრივ საუბრობს, რომ ტურიზმის განვითარება მნიშვნელონადაა დაკავშირებული იმაზე, თუ რომელ საგარეო ორიენტაციას აირჩევს საქართველოს მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება. მათი აზრით, ევროკავშირში ინტეგრაცია რადიკალურად გაზრდის ტურისტების რიცხვს და ეს თავისთავად შექმნის ხელსაყრელ გარემოს ბიზნესის კეთების მსურველთა და ინვესტორებისა. თუმცა არსებობს აზრები, რომელიც უარყოფს ევროინტეგრაციას და ფოკუს ჯგუფის მონაწილე ამბობს, რომ ევროინტეგრაციით გორსა და გორის რაიონში ტურისტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდება.

„თუ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდება და ევროპულ კურსს აირჩევს ამ შემთხვევაში ჩვენს ქალაქში ტურისტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდება, რადგანაც, გორში ყველაზე პოპულარული ადგილია იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი, რომელთა დამთვალიერებელთა რაოდენობა ქალაქისა და რაიონის მასშტაბით ყველაზე მეტია, თანაც დამთვალიერებელთა უმეტესი რაოდენობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან და ჩინეთიდანაა. შესაბამისად თუ ჩვენ ავირჩევთ ევროპულ კურსს, შეიძლება ვცდები მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ

ქვეყნების ტურისტებს ერთგვარი პრობლემები შეექმნებათ ქვეყანასა და ქალაქში შემოსვლის მიმართულებით“ – როლანდი 69 წლის.

შესაბამისად რესპონდენტთა მოლოდინები აღნიშნულ საკითხთან მიმართებითაც მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, თუმცა უმეტესწილად მაინც ჭარბობს აზრი იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც აუცილებლად გაამახვილებენ ყურადღებას არის ტურიზმი და მისი განვითარება, რომელიც სხვადასხვანაირად ესახებათ, მაგალითად ზოგისთვის ეს ქვეყნის საგარეო კურსთანაა დაკავშირებული ხოლო ზოგიც ადგილობრივ ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე საუბრობს. რასაც რესპოდენტის კომენტარიც ნათლად ასახავს:

„ხედავთ, ხომ რამხელა პოტენციალი აქვს ჩვენს ქალაქს და რამდენი ტურისტი გვსტუმრობს ყოველწლიურად, მაგრამ არის პრობლემა, რომელიც ყველა ხელისუფლების დროს იყო და ესაა ტურისტული რუკების, ტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული აპლიკაციების არარსებობა, რომლის გამოც ზოგი ტურისტი ისე მიდის ქალაქიდან ვერ ნახულობს ვერაფერს 3-4 ძირითადი ადგილის გარდა, რომელიც ყველამ ისედაც იცის“ – საბა 23 წლის.

ინფრასტრუქტურული მიმართულება

ინფრასტრუქტურის მხრივ, გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება სოფლის და ქალაქის ძირითადი პრობლემები, რომელიც მოსახლეობას და რიგით ამომრჩევლებს აწუხებთ. ქალაქის პრობლემებიც დაიყო რამდენიმე მიმართულებად მათ შორის ძირითადი პრობლემები მაინც დაკავშირებულია საგზაო ინფრასტრუქტურასთან, კერძოდ, პრობლემაა, რომ ქალაქის ცენტრალური გზები კი კარგად არის მოწესრიგებული, თუმცა იქვე არსებული არაცენტრალურ ქუჩებზე არსებული გზები ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რაც უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილებისთვისაა საჭირო. ასევე ქალაქში მოსახლეობას პრობლემას უქმნის კანალიზაციის ე.წ. ჭები, რომელიც ხშირად არ არის დალუქული და ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც დაზიანებულა, როგორც მანქანა და სხვა სატრანსპორტო საშუალება, ასევე, მოსახლეობას აქვს შიში ბავშვებისთვის ჩავარდნის

საფრთხის გამო, სახლიდან გაშვების, რადგანაც შესაძლებელია კანალიზაციას ლუქი ჰქონდეს ახდილი და ბავშვმა უბრალოდ ვერ დაინახოს ის, აქედან გამომდინარე მოსახლეობას აქვს მოლოდინები, რომ აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული იქნება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას და დაიწყებენ მასზე აქტიურ მუშაობას, შემდგომში უკვე გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლები.

რაც შეეხება სოფლის ინფრასტრუქტურას, ძირითადი პრობლემა ასევე საგზაო მიმართულებით არის, და მოსახლეობის აზრით ყოველი არჩევნებისას მათი მთავარია მოლოდინია, რომ ყურადღება გამახვილდება ამ პრობლემაზე და შეძლებს მოსახლეობა, რომ არ შეექმნას გადაადგილების პრობლემა. სოფლებში [პრობლემას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობა და ახალგაზრდებს არ აქვთ იმის საშუალება, რომ თავისუფალ დროს გაატარონ სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები, მით უფრო მეტად, რომ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება საქართველოში სპორტის სახეობები, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი და სხვა.

ჯანდაცვა

კვლევამ აჩვენა, რომ ჯანდაცვის საკითხები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საზოგადოების ყველა ასაკის ადამიანში, რაზედ დიდი გავლენა იქონია გასულ წლებში არსებულმა კორონავირუსის პანდემიამ. ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა ქალაქში, გორშიც საკმაოდ ბევრი ადამიანი დაინფიცირდა აღნიშნული ვირუსით, შედეგად ქალაქის 2 ძირითად საავადმყოფოში („გორმედსა“ და „გორის სამხედრო ჰოსპიტალში“) თავისუფალი ადგილების პრობლემა შეიქმნა, რამაც გამოაჩინა, ჯანდაცვის ინფრასტრქუტურის პრობლემური მხარეები, იქნებოდა ეს აპარატურის, თუ თავისუფალი სივრცის არარსებობა. რესპონდენტები იმედოვნებენ, რომ უახლოეს პერიოდში ქალაქს დაემატება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ახალი საავადმყოფო, ან მოხდება არსებული საავადმყოფოების რეაბილიტაცია და სასურველი კონდიციებით სარგებლობა.

ჯანდაცვის მიმართულებით, ყველაზე მეტად უფროსი ასაკის მოსახლეობა წუხს და საუბრობს, იმ ტენდენციაზე, რომელიც ყოველი არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს თანმდევ ნაწილადაა ქცეული, რაც მედიკამენტების ფასების დაწევას გულისხმობს. თუმცა მათივე

განმარტებით ეს მხოლოდ ტენდენციაა, რომელიც პრაქტიკაში რეალურად არასდროს განხორციელებულა და იმედოვნებენ, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ყურადღება მიექცევა ფარმაცევტულ ბაზარს და თითოეული პენსიონერი და არა მხოლოდ პენსიონერი შეძლებს საკუთარი სახსრებით, პირველადი საჭიროებების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მათ შორის საჭირო მედიკამენტებით.

„ყველაზე ნაკლები ყურადღება მოხუცებს გვექცევა, სამუშაოზე სიარული ჩვენ ნაკლებადღა შეგვიძლია და ვინც არა ვმუშაობთ, პენსიით როგორია თვეში 300 ლარის წამლების შეძენა? ჭამაც ხო გვინდა? ჩვენც ხომ ადამიანები ვართ?!“ - ციალა 75 წლის.

საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები

გორსა და გორის რაიონში ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას ოკუპაცია წარმოადგენს, რომელიც მრავალმხრივ ზემოქმედებს ადამიანზე და ეხება მას, როგორც პირდაპირ და ფიზიკურად, ასევე ირიბად. რესპოდენტთა ნაწილს აქვს გორის რაიონის საზღვრისპირა სოფლებში ცხოვრების გამოცდილება და შესაბამისად მათ მიერ არის მოლოდინები, რომ იქნებ ამ არჩევნების შემდგომ მაინც შემსუბუქდეს ის პრობლემები, რომლებიც ამ სოფლების მოსახლეობას აქვს. მათ მიერ გამოიყო რამდენიმე მთავარი პრობლემა, მაგალითად ერთ-ერთ უმთავრეს პრომლემას წარმოადგენს საოკუპაციო რეჟიმის მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც რამდენიმე სახისაა: მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების გადაყვანა მათ მიერ მართვად ტერიტორიებზე, ასევე უმთავრესია ადამიანთა გატაცებები, რომელსაც მასიური ხასიათი აქვს. საზღვართან დაკავებები მთლიანი ე.წ. საზღვრის გასწვრივ მოქმედებს 2008 წლიდან დღემდე და ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო უშიშროების სამსახურის მიერ დაკავებულთა რაოდენობა 1000-ზე მეტ ადამიანს შეადგენს, რაც ნამდვილად არ არის სახარბიელო რიცხვები და იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტერიტორიებზე ეუთოს მისიის ფარგლებშიც არის ყოველდღიური პატრულირება, მითუმეტეს ამის ფონზე კიდევ უფრო მეტია ეს რიცხვები, თანაც ადგილობრივების თქმით რუსი და ოსი მესაზღვრეები, უშუალოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე გადმოდიან და აქედან იტაცებენ, განურჩევლად სქესისა და

ასაკისა. მოსახლეობას უსაფრთხოების შეგრძნება არ აქვს და მოელიან გარკვეული დამცავი მექანიზმების შემუშავებას.

წელი	გატაცების საერთო რაოდენობა	გატაცებული ქალი	გატაცებული ბავშვი
2009	79	1	4
2010	77	9	2
2011	140	17	10
2012	108	19	2
2013	139	15	2
2014	142	18	3
2015	163	17	3
2016	134	11	6
2017	126	20	2
2018	100	19	8
2019	86	9	2
2020	64	6	1
2021	70	10	1
2022	44	4	3
2023	20		

ცხრილი #1 – საუკუპაციო რეჟიმის მიერ გატაცებულთა რაოდენობა

წყარო: https://www.radiotavisupleba.ge/a/32627394.html რადიო თავისუფლება.

აღნიშნული ცხრილი კიდევ უფრო ცხადს ხდის, საოკუპაციო ხაზთან არსებულ სიტუაციას, რომელიც მოსახლეობისათვის სულ უფრო და უფრო მძიმდება.

„საშინელი მდგომარეობა�ა ჩვენს, თავს სულ შიშში ვცხოვრობთ, სულ იმაზე ფიქრში ვართ გარეთ, რომ გავალთ ვინმე რუსი ჯარისკაცი არ გამოვიდეს და აგვედევნოს, აგერ შარშა, მეზობელ სოფელ კირბალში როგორ მოკლეს თამაზ გინტური, სროლასაც არ ერიდებიან, თან ალბათ სულ სვამენ და გამუდმებით ყვირიან და ხმაურობენ თუ კი ახლოში დაგინახეს, ჩვენ კონტროლირებად ტერიტორიებზეც არ ერიდებიან გადმოსვლას, ძალიან არხეინად დასეირნობენ და ამაზე არ ჰქონია არასდროს არავის რეაგირება, არც წინა მთავრობას და არც ახლანდელს, ყველა გვპირდება, მოდიან აჩევნების წინ და გვეუბნებიან, რომ ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრობენ იმუშავებენ მაგრამ სიტუაცია არ იცვლება, ბავშვებსაც ვერ ვუშვებთ გარეთ მეგობრებთან სათამაშოდ იმის შიშით, არავინ მოგვტაცოს, ან ბავშვები არ შევიდნენ მათთან კონტაქტში და არაფერი დაუშაონ, მოკლედ ვიმედოვნებ, რომ ამ არჩევნების შემდეგ მაინც მიეხედება ამ პრობლემას და ჩვენც დავმშვიდდებით“ – ლალი 61 წლის.

კიდევ ერთი პრობლემის მოგვარება, რასაც ადგილობრივები ელოდებიან ამ არჩევნების შემდგომ არის ე.წ. საზღვრისიქით არსებული საკარმიდამო ნაკვეთებისა და საძოვრების გამოყენების შესაძლებლობა, რადგან ბევრი ადამიანის ნაკვეთი და საძოვარი მიწა მოექცა მეორე მხარეს და ყოველი გადასვლის მცდელობა, მყისვე დაკავებით სრულდება, რაც დიდ ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ პრობლემებს უქმნის ხალხს, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გლეხი საკუთარ მოსავალს ამუშავებს და „მცოცავი ოკუპაციის“ პირობებში ვეღარ ახერხებს დამუშავებული მოსავლის აღებას. გარდა ამისა, პრობლემაა მიმოსვლასთან დაკავშირებით, ბევრ ადამიანს საკუთარი ძმა, და, ნათესავები და მეგობრები ჰყავს მავთულხლართის იქით, რაც სრულ „ლოკდაუნში“ აყენებს ადგილობრივებს.

ყველაზე რთულად და ემოციურად ადამიანები მაინც სოფლის სასაფლაოების თემას აღიქვამენ, რადგანაც მათი ოჯახის წევრი დაკრძალულია სოფლის სასაფლაოზე, რომელთა დიდი ნაწილიც ე.წ. საზღვრის მეორე მხარეს მდებარეობს და რიგ შემთხვევაში ისეთ პერიოდებშიც კი, როგორიც აღდგომა და სხვა რელიგიური დღესასწაულებია მათ არ ეძლევათ საკუთარი მიცვალებულის მოხსენიებისა და დატირების საშუალება. ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც წესი, იქნება ეს რელიგიური დღესასწაული თუ სხვა ღონისძიება, რომელიც მოითხოვს ე.წ. საზღვრის კვეთას, მცირე ხნით იხსნება

მოლაპარაკებები ადგილობრივ ხელისუფლებასა და საოკუპაციო ძალებს, შორის, რის შედეგადაც მოსახლეობა ახერხებს მისთვის სასურველი გეგმის განხორციელებას, მაგრამ მას სისიტემური ხასიათი არ აქვს და მხოლოდ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს.

„როგორ ვართ შვილო აბა? საკუთარი ქმრის საფლავი მაქვს მავთულების იქეთ და ზოგჯერ აღდგომის პერიოდშიც კი ვერ გადავდივარ, რომ სანთელი დავუნთო და მოვასუფთაო იქაურობა, ჩემ სიცოცხლეს რაღა აზრი აქვს, როცა ქმრისა და მშობლების საფლავს ვერ ვუვლი წლებია“ - გაგვიზიარა 72 წლის ქალბატონმა მედიკომ.

თუმცა მნიშვნელოვანია, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც საზღვართან ახლოს ცხოვორობენ სრულიად უფინანსდებათ სახელმწიფოსგან სწავლა უნივერსიტეტებში, რაც რა თქმა უნდა, დადებითად უნდა შევაფასოთ. ეს ხელს შეუწყობს მეტ-ნაკლებად ადგილობრივი მიგრაციის შემცირებას და სწორედ ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც ზოგიერთი მათგანი არსებულ ხელისუფლებას უჭერს მხარს ეს მიზეზია და მოსახლეობა იმედოვნებს, რომ არჩევნების შემდგომ მათი მოლოდინები ამ პროგრამასთან დაკავშირებით გამართლდება და ისინი კვლავ შეძლებენ მისით სარგებლობას.

დასკვნა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მოლოდინების შესწავლამ ქალაქ გორის მაგალითზე, ნათლად წარმოაჩინა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის განსაკუთრებული შეხედულებები და მოთხოვნები. ფოკუს ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგების ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არჩევნებში მონაწილეობა მნიშვნელოვანი საკითხია, რაც ხშირად დაკავშირებულია სოციალურ სასურველობის სენტიმენტებთან. მონაცემების ანალიზმა დაადასტურა, რომ არჩევნებში მონაწილეობისაგან თავის შეკავება ხშირად იმაზე მიუთითებს, რომ ეს პროცესი შეიძლება იყოს დაკავშირებული იმედგაცრუებასთან, უნდობლობასთან და ზოგიერთ შემთხვევაში ინტერესის ნაკლებობასთან. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ წინასაარჩევნო მოლოდინები მკვეთრად განსხვავდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები როგორიცაა უმუშევრობა, არსებულ ინფრასტრუქტურულ გამოწვევებთან დაკავშირებული პრობლემები, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობის საკითხები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენდა ამომრჩეველთა პოზიციაზე. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მოსახლეობა ელოდება არა მხოლოდ ცრუ დაპირებებსა და ილუზიის შექმნას, არამედ რეალური და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას სოციალური მომსახურების, განათლების, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. ქალაქ გორის მოსახლეობას განსაკუთრებით აღელვებს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება. სხვადასხვა ტიპის დაპირებების განხილვისას გამოვლინდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის საერთო კეთილდღეობაზე ორიენტირებული დაპირებები უფრო მისაღებია, ვიდრე კონკრეტულ ჯგუფებზე და ინდივიდებზე ჩამოყალიბებული შეთავაზებები.

მოსახლეობის თითოეული ასაკის კატეგორიისათვის განსაკუთრებით მძიმეა საოკუპაციო რეჟიმის გავლენა, რომელიც ბევრ ადამიანს საკუთარ თავზე, თუ არა, მის ნაცნობ-მეგობრებსა და ოჯახის წევრებზე აქვთ განცდილი. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ იმატებს მოთხოვნა ადგილობრივ დონეზე არსებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირების და ეფექტური მმართველობის თვალსაზრისით, რაც ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წინასაარჩევნო მოლოდინებზე.

ჰიპოთეზა, რომ „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მოლოდინებზე ქალაქ გორის მაგალითზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც აისახება მოსახლეობის საერთო საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე, რომლებიც თანხვედრაშია ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრის ძირითად ტენდენციებთან" - გამართლდა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ საარჩევნო მოლოდინებსა და ზოგადად არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალი-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები, რომელიც საზოგადოების საჭიროებებში აისახება და საზოგადოებრივი აზრის ტენდენციებთანაა თანხვედრაში.

აქვე აღსანიშნავია და კიდევ ერთხელ დადასტურდა შერჩეული თეორიული ჩარჩოს შესაბამისობა საკვლევ საკითხთან. შედეგები აჩვენებს, რომ მართლაც თითოეული ადამიანი არჩევანს აკეთებს იქიდან გამომდინარე თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია იგი და რა პრობლემები აწუხებს მას იქნება ეს: ჯანდაცვა. ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, ეკონომიკა, პოლიტიკური პრეფერენციები თუ სხვა. შედეგები ცხადჰყოფს, რომ წინასაარჩევნო მოლოდინებსა და ქალაქ გორის საზოგადოების მხრიდან საარჩევნო პროცესისადმი მიდგომასა და მოქმედებას განისაზღვრება ინდივიდის მხრიდან რაციონალური არჩევანის თეორიის შესაბამისად, როდესაც მათ მიერ გაკეთებული არჩევანი პირდაპირპროპორციული იქნება მოსალოდნელ სარგებელთან.

მნიშვნელოვანია უცხოელი და ქართველი ავტორების ლიტერატურული ნაშრომების მნიშვნელობა და კავშირი აღნიშნულ სტატიასთან, კერძოდ, შედეგებმა აჩვენა, რომ სჭარბობს პოპულისტური დაპირებები და ხშირად პოლიტიკური პარტიები ამ გზით ინარჩუნებენ და ზრდიან მათ ამომრჩეველს. ასევე გამოვლინდა, ქართულ პოლიტიკურ პარტიებში, არა საკუთარი უპირატესობის ხაზგასმა, არამედ სხვისი დაკნინება, თუნდაც უარყოფითი „მესიჯებითა“ და გზავნილებით.

ამრიგად, დასკვნა ერთდროულად ხაზს უსვამს მრავალფეროვან სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ წინასაარჩევნო მოლოდინებზე. ყველა ასაკობრივ ჯგუფში არსებობს კონკრეტული საჭიროებები, რომლებიც თითოეულმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა გაითვალისწინოს, რათა მოხდეს მოლოდინების დაკმაყოფილება და მოქალაქეთა ნდობის აღდგენა და გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ ლიტერატურული კონტექსტი და თეორიული ჩარჩო კარგად უკავშირდება აღნიშნულს ნაშრომს.

ბიბლიოგრაფია

ანთაძე, ი. (2003). *წინასაარჩევნო მოლოდინის სტრუქტურა.* თბილისი. რადიო თავისუფლება.

ბერძენიშვილი, ა. (2019). *თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბურდული, ნ. (2023). *რა პირობებით მიიღო საქართველომ კანდიდატის სტატუსი.* თბილისი: ნეტგაზეთი.

გოგსაძე, გ. (2022). *2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური პარტიების პოპულისტური და ნატივისტური დისკურსები.* თბილისი.

თავისუფლება, რ. (2023). *ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო უშიშროების სამსახურმა დაკავებულთა სტატისტიკა გამოაქვეყნა.* თბილისი: რადიო თავისუფლება.

თავისუფლება, რ. (2023, 11 08). რას მოიცავს 9 დათქმა - ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. 2023.

კახიშვილი, ლ. (2019). *ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია: რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება?* თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

კვაშილავა, ბ. (2020). *წინასაარჩევნო პროგრამების მიმოხილვა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის: შედარებითი ანალიზი.* თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის.

მელიქიძე, გ. (2020). *ლიდერი პარტიის პირისპირ: საქართველოს გამოცდილება.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა.

მერია, გ. მ. (2023). *ტურიზმი.* გორი: გორის მუნიციპალიტეტის მერია.

პარლამენტი, ს. (2011). *საქართველოს საარჩევნო კოდექსი - კონსოლიდირებული ვერსია საბოლოო.* თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

სამსახური, ს. ს. (2024). *დასაქმება და უმუშევრობა.* თბილისი: საქსტატი.

სილაგაძე,გ. (2020). *არის თუ არა პოპულიზმი ევროსკეპტიკური საქართველოში?.* თბილისი. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ხუნდაძე,მ. (2023). *ნეგატივი საარჩევნო კამპანიაში - სისხლიანი ბანერები.* თბილისი: პოლიტიკა V ტომი.

ცესკო. (2024). *საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2024.* თბილისი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი.

Anastasia Veneti, D. J. (2019). *Visual Political Communication.* The International Journal of Press-Politics.

Downs, A. (1957). *An economic theory of democracy*. Harper and Row.

Markus Wagner, T. M. (2023). *How do Voters Form Perceptions of Party Positions?* cambridge: Cambridge University Press.

R. Michael Alvarez, D. R. (2020). *Preferences, constraints, and choices: tactical voting in mass elections.*

THE ROUTLEDGE HANDBOOK

Veneti, A., Jackson, D. & Lilleker, D.G., (Ed.). (2019) Visual political communication, Palgrave Macmillan.